# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №22

13 დეკემბერი 2016 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპი ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრის უფროსი ლალი რევია (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ ინდ. მეწარმე ავთანდილ დავლიანიძე (შემდგომში მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
ქსოვილის ნივთები (CPV 39500000) კერძოდ,

1. ტენტები (CPV 39522530)
2. თოკი (CPV 39541110)

2. ხელშეკრულების შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საგნის მიწოდების ვადაა მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 112 (ასთორმეტი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მთავარი ბუღალტერი ნანა კაპანაძე.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეებივალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებითნაკისრი ვალდებულებები.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.
5.3 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულების არშესრულების შემთხვევაში დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მთავარი ბუღალტერი ნანა კაპანაძე.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკურლების შეწყვეტის შესახებ

8.4 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.
9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა). თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.

11..2 ხელშეკრულება მოქმედებს ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| --- | --- |
| ა(ა)იპ ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი | ინდ, მეწარმე ავთანდილ დავლიანიძე |
| ს/კ 436036647 | ს/კ 31001005329 |
| სახელმწიფო ხაზინა | |
| ა/ა 742233459 | ბ/კ LBRTGE22 |
| ბ/კ TRESGE22 | ა/ა GE45BG0000000317131800 |
| მის: ქ.მცხეთა, დ. აღმაშენებლის №[illegible] | მის: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის №108 |
| ტელ: 2 51 21 28 | ტელ :2512708 |
| ცენტრის უფროსი ლალი რევია | ინდ, მეწარმე ავთანდილ დავლიანიძე |